ევროკავშირი
საქართველოსთვის

TDIG

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული
კვლევებისა და განვითარების ცენტრი

სურსათის ეტიკეტირების მონიტორინგი და ადვოკატირება

2024 წელი

პუბლიკაცია შექმნილია “საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის” (CSRDG) მხარდაჭერით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის **“სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა:** *მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის”* ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ორგანიზაცია ა(ა)იპ “საქართველოს ტრენინგებისა და განვითარების ინსტიტუტი” და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა

შესავალი

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმება მოიცავს ცალკეულ თავს - სურსათის უვნებლობის, ვეტერინარისა და ფიტოსანიტარიის შესახებ და სწორედ, ამ თავით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ძალზედ დაბალი მაჩვენებელი წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას. საყურადღებოა, რომ სურსათის უვნებლობის ნორმები შესაბამისი ნორმატიული აქტები მიღებულია, მაგრამ მხოლოდ ნაწილი არის ამოქმედებული (29%), ხოლო მიღებული ნორმების უმეტესობა არ კონტროლდება.

კერძოდ, ამ მიმართულებით, კანონმდებლობა ორ მიზანს ემსახურება: 1. ბაზარზე განთავსებული სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფა და 2. სარეალიზაციოდ განკუთვნილი სურსათის შესახებ მომხმარებლისთვის უტყუარი ინფორმაციის მიწოდება, რათა მათ სწორი არჩევანის შესაძლებლობა ჰქონდეთ. ამ მიზნების მისაღწევად საქმიანობს ბიზნესიც და სახელმწიფოც, მაგრამ არსებობს ბევრი გამოწვევა და პრობლემა, რომელთა გადაჭრის ხელშესაწყობად უმნიშნელოვანესია სამოქალაქო სექტორის ჩართულობა.

უპირველესად, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სარეალიზაციოდ განკუთვნილი სურსათის ეტიკეტირების მოთხოვნებს, არეგულირებს, საქართელოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №301 დადგენილება, „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე“).

301 დადგენილების მიზანია, სარეალიზაციოდ განკუთვნილი სურსათის შესახებ ინფორმაცია იყოს ზუსტი, მკაფიო და ადვილად გასაგები. იგი არ უნდა იყოს შეცდომაში შემყვანი მომხმარებლისთვის, კერძოდ, ინფორმაცია სურსათის მახასიათებლების, მისი ბუნების, სახეობის, თვისებების, შემადგენლობის, რაოდენობის, ვარგისიანობის ვადის, წარმოშობის ქვეყნის ან წარმოშობის ადგილის, წარმოების ან დამზადების მეთოდის შესახებ. ეტიკეტზე არ უნდა იყოს ისეთი ინფორმაცია განთავსებული, რომელიც სურსათის ისეთი თვისებებისა და ზეგავლენის შესახებ მიუთითებს, რაც სურსათს არ ახასიათებს; შეფუთვაზე ვიზუალურად, აღწერით ან გრაფიკული გამოსახულებით არ უნდა მიუთითებდეს სურსათში იმ საკვები ნივთიერების (ნუტრიენტები) ან ინგრედიენტის შემცველობის შესახებ, როდესაც იგი აღნიშნული სურსათის ბუნებრივ კომპონენტს წარმოადგენს და ა.შ.

თუმცა გარდა ზემოაღნიშნული დადგენილებისა სურსათის ეტიკეტის კონტროლის დროს აუცილებელია დამატებითი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინება. ეს მოთხოვნები თითოეული ჯგუფის სურსათის მიმართ განისაზღვრება შემდეგი ნორმატიული დოკუმენტებით:

- საქართველოს კანონი - “სურსათის/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ”;
- „თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბერის № 714 დადგენილება;
- „ბიოწარმოების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის № 198 დადგენილება;
- „თხილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“,- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 აპრილის № 185 დადგენილება;
- „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ , საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აპრილის № 152 დადგენილება;
- „ხორბლის ფქვილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 ივლისის № 376 დადგენილება;

- „ტექნიკური რეგლამენტი - ხილის წვენის და ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი სხვა მსგავსი პროდუქტების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 8 დეკემბერის N 536 დადგენილება;
- „ტექნიკური რეგლამენტი სპირტიანი სასმელების შესახებ დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის №554 დადგენილება;
- „ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ”, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის № 90 დადგენილება;
- „საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №118 დადგენილება;
- „დაფასოებული ნატურალური მინერალური წყლისა და წყაროს წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ”, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №719 დადგენილება;
- „ჩვილი და ადრეული ასაკის (მცირეწლოვანი) ბავშვთათვის განკუთვნილი, განსაკუთრებული სამედიცინო დანიშნულების და წონის კონტროლისათვის რაციონის სრულად ჩანაცვლებისათვის განკუთვნილ სურსათის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ივლისის №370 დადგენილება;
- „საკვებდანამატების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბერის №585 დადგენილება
- „სურსათზე კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბრის №510 დადგენილება
- „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისი N320 დადგენილება;

კანონმდებლობაში არსებული მოთხოვნები შეიქმნა იმისთვის, რომ გაუადვილოს და თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად, მოაწესრიგოს ბაზარზე განთავსებული სურსათის ეტიკეტები და მოახდინოს მომხმარებლის შესაბამისი ინფორმირება, რათა მათ უკეთ შეძლონ საკუთარი ჯანმრთელობისა და ეკონომიკური ინტერესების დაცვა. აკრძალულია იმ სურსათის ბაზარზე განთავსება, რომელიც ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნებს არ შეესაბამება. დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, სურსათის ეროვნული სააგენტო ახდენს რეაგირებას და ბიზნეს ოპერატორს აჯარიმებს კანონმდებლობის შესაბამისად.

„სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“ შესაბამისად, მომხმარებლისთვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესის დარღვევა გამოიწვევს მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, სხვა ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით 1 წლის განმავლობაში, გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

სამწუხაროდ, ამ მიმართულებით, დაბალია როგორც ბიზნეს ოპერატორთა, ასევე, მომხმარებელთა ცნობიერების დონე.

კერძოდ, ბიზნეს ოპერატორთა ნაწილს არ აქვს სრულყოფილი ინფორმაცია პროდუქტის ეტიკეტირებასთან დაკავშირებული რეგულაციებისა და საკანომდებლო მოთხოვნების შესახებ, ხოლო ნაწილი კი ინფორმირებულია, მაგრამ თავს არიდებს კანონმდებლობის შესრულებას.
უპირველესად, რა თქმა უნდა, ზარალდება მომხმარებელი, რადგან ბაზარზე სარეალიზაციოდ განთავსებულ სურსათს ხშირ შემთხვევაში, ან საერთოდ არ აქვთ ქართული ეტიკეტი ან აქვთ, თუმცა კანონმდებლობასთან შეუსაბამო.

მნიშნელოვნად მიგვაჩნია, ისეთი პროექტის განხორციელება, რომელიც ემსახურება, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში, სურსათის ეტიკეტირებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო მოთხოვნების აღსრულების სამოქალაქო მონიტორინგსა და ადვოკატირებას, ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებით.

ჩვენი ორგანიზაციის გუნდის მიერ წარმოდგენილი პროექტის - „სურსათის ეტიკეტირების მონიტორინგი და ადვოკატირება“ - განხორციელების გზით, გვსურს, ხელი შევუწყოთ სურსათის ეტიკეტირებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო მოთხოვნების აღსრულებას, ამ კუთხით, გავზარდოთ მომხმარებელთა ცნობიერების დონე და შევქნათ სამოქალაქო მონიტორინგის მექანიზმი.

მოცემული პუბლიკაციის მიზანია, სურსათის ეტიკეტირებასთან დაკავშირებით ბაზარზე არსებული ზოგადი ვითარების მოკლევა, ძირითადი პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება, მონიტორინგის შედეგების დოკუმენტირება და შეფასებითი ანგარიშის მომზადება და გავრცელება.

არსებული ვითარების მიმოხილვა

დღეის მდგომარეობით ასობით ბიზნესოპერატორია დარეგისტრირებული (საქართველოს კანონის „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“-ის შესაბამისად: ბიზნეს ოპერატორი – პირი, რომლის საქმიანობა უკავშირდება სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის, აგროქიმიკატის წარმოებას, პირველად წარმოებას, გადამუშავებას, დისტრიბუციას, აგრეთვე ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მომსახურებას და რომელიც პასუხისმგებელია თავისი საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობისთვის), რომლებიც ახორციელებენ როგორც ადგილობრივად სურსათის წარმოებას, ასევე ახდენენ უამრავი დასახელების სურსათის იმპორტს სხვადასხვა ქვეყნებიდან.

როგორც თქვენთვის ცნობილია, კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს სურსათის ეტიკეტირების წესს და იცავს მომხმარებელთა ინტერესებს, ევროკავშირში მოქმედი რეგულაციის ანალოგია (EU Regulation 1169/2011) სწორედ ამიტომ, იმ სურსათის ეტიკეტები, რომლის იმპორტიც ხორციელდება ევროკავშირის ქვეყნებიდან, ბევრად უფრო გამართულია და შესაბამისობაშია ჩვენს კანონმდებლობასთან, ვიდრე სხვა დანარჩენი ქვეყნიდან შემოსული.

ქვეყნებს, რომლებიც არ მიყვებიან ევრორეგულაციებს და აქვთ ქვეყანაში ადგილობრივი სტანდარტები და მოთხოვნები, მათ ხშირ შემთხვევაში უჭირთ აღიქვან და შეასრულონ ის მოთხოვნები რაც იმპორტიორს შეიძლება ქონდეს ეტიკეტთან მიმართებაში. ასეთ ქვეყნებს წარმოადგენს რუსეთი, უკრაინა, ბელარუსის რესპუბლიკა, ყაზახეთი და ა.შ.. (ეს პრობლემა რათქმაუნდა ყველა მწარმოებელს არ ეხება) სამწუხაროდ იმპორტიორი კომპანიების წარმომადგენლების ცნობიერებაც ამ მიმართულებით იმდენად მწირია, რომ ურჩევნიათ მარტივი გზით მოაგვარონ პრობლემა და ბაზარზე განათავსონ შეუსაბამო ეტიკეტიანი ან საერთოდ ქართული ეტიკეტის გარეშე პროდუქცია. ზოგ შემთხვევაში არც აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სურსათის ეტიკეტირების წესი კანონმდებლობით არის განსაზღვრული.
საბოლოოდ მივდივართ იქამდე, რომ კვლავ ზიანდება მომხმარებელი და ყველაზე ცუდ შემთხვევაში ეტიკეტის შეუსაბამობამ, შესაძლოა გამოიწვიოს მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ზიანი. მარტივი მაგალითი რომ მოვიყვანოთ: თუ სურსათის ეტიკეტზე მკაფიოდ არ იქნება მითითება ალერგიის ან მომეტებული მგრძნობელობის გამომწვევი

ნივთიერების/ების შესახებ, შესაძლოა ამან სავალალო შედეგამდე მიიყვანოს მომხმარებელი და მას განუვითარდეს ყველაზე ცუდ შემთხვევაში ე.წ ანაფილაქსური შოკი.

ჩვენი მოკვლევით, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირები დოკუმენტური შემოწმების დროს ახდენენ სურსათის ეტიკეტის შემოწმებას. სურსათის ეტიკეტის შემოწმება ხდება არა მარტო სარელიზაციო ქსელებში, არამედ საზოგადოებრივი კვების ობიექტებში, სურსათის საწარმოებში, სამაცივრე მეურნეობებში, აგრარულ ბაზრებში და სხვა.

წარმოგიდგენთ სამი წლის სახელწიფო კონტროლის შედეგებს:

- 2020 წლის მონაცემებით - სულ შემოწმდა 4478 ბიზნეს ოპერატორი, რომელთაგან ეტიკეტირების წესის დარღვევა დაფიქსირდა 252 შემთხვევაში;

- 2021 წელი: 3962 ბიზნეს ოპერატორი, დარღვევა 206 შემთხვევაში;

- 2022 წლის I და II კვარტლის ანგარიშით, შემოწმებულ იქნა სულ: 3515 ბიზნეს ოპერატორი, ხოლო დარღვევა 219 ბიზნეს ოპერატორს დაუფიქსირდა.

პროექტის ფარგლებში ჩართული მოხალისეთა ჯგუფის მიერ მონიტორინგის შედეგად შევისწავლეთ სარეალიზაციოდ განთავსებული 5 კატეგორიის სურსათის 20 ეტიკეტი -
(1. საკონდიტრო ნაწარმი/ტკბილეული, 2. მდოგვი, 3. რძის პროდუქტები 4. მაკარონის ნაწარმი და 5. ბურღულეული საუზმისათვის, ე.წ გრანოლა)

გარდა სარეალიზაციოდ განთავსებული სურსათის ეტიკეტების მონიტორინგისა, სატელეფონო გამოკითხვა ვაწარმოეთ ბიზნესოპერატორთა გარკვეულ ჯგუფზე (გამოკითხულ იქნა 10 ბიზნესოპერატორი). გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ მათ არ ყავთ შესაბამისი კომპეტენციის ადამიანი დაქვემდებარებაში, რომელიც უზრუნველყოფს კანონმდებლობის შესაბამისი ეტიკეტის შედგენას. ბიზნესოპერატორთა ნაწილს დაქირავებული ყავს კომპანია, რომელიც გარკვეული საფასურის სანაცვლოდ უწევს მომსახურეობას. ნაწილმა მათგანმა არც კი იცის კანონმდებლობაში არსებული მოთხოვნების შესახებ.

შედეგები და დასკვნები

სარეალიზაციოდ განკუთვნილი სურსათის ეტიკეტების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

შესწავლილი 9 საკონდიტრო ნაწარმის ეტიკეტიდან, შეუსაბამობა გამოვლინდა 4 ეტიკეტზე. მათი ეტიკეტის სიღრმისეულად შესწავლით გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი შეუსაბამობები: ინგრედიენტების ჩამონათვალში მკაფიოდ არ არის მითითებული ინფორმაცია „ალერგიის გამომწვევი ან მომეტებული მგრძნობელობის მქონე ნივთიერებების ან პროდუქტების“ შესახებ, რაც თავის მხრივ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობასთან მიმართებაში. ასევე, არასრულადაა განთავსებული ინფორმაცია კვებითი ღირებულების შესახებ. ძირითად შემთხვევაში კი შრიფტის ზომა იმდენად პატარაა, რომ შეუიარაღებელი თავლით მისი წაკითხვა შეუძლებელია.



Попробуй
Другие вкусы
MASSA NETTO:
TAZA SALMAGI: 228 г/g
SOF OG'IRLIGI:
Mondelez International


COMPOSITION (PROTEASE), CREAM: CONFECTIONERY FAT(REFINED AND DEODORIZED PALM AND
SUNFLOWER OILS), SUGAR, SKIMMED MILK POWDER, CHEES WHEY, ALKALIZED COCOA POWDER,




SNACKING
www.mdlz.ru
403 г/g

შესწავლილი 4 რძის პროდუქტის (2 ყველი და 2 შესქელებული რძე) ეტიკეტიდან, შეუსაბამობა გამოვლინდა 3 ეტიკეტზე.

კატეგორია რძე და რძის პროდუქტების ეტიკეტის სიღრმისეულად შესწავლით გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი შეუსაბამობები: ინგრედიენტების ჩამონათვალში მკაფიოდ არ არის მითითებული ინფორმაცია „ალერგიის გამომწვევი ან მომეტებული მგრძნობელობის მქონე ნივთიერებების ან პროდუქტების“ შესახებ (შესქელებული რძის შემთხვევაში), რაც თავის მხრივ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობასთან მიმართებაში. დარღვეულია ეტიკეტზე ინფორმაციის განლაგების თანმიმდევრობა (დასახელებასთან ერთად, ხედვის ძირითად არეალში, განთავსებული უნდა იყოს სურსათის ნეტო (სუფთა) წონა).



შესწავლილი 2 ბურღულეულის (ბურღულეული საუზმისათვის, ე.წ გრანოლა) ეტიკეტიდან, შეუსაბამობა გამოვლინდა ორივე მათგანში, კერძოდ, აქაც, წინა ეტიკეტების შეუსაბამობების მსგავსად, არ არის ინგრედიენტების ჩამონათვალში „შვრიის ფანტელი“ მკაფიოდ გამოყოფილი, თუმცა, აქვე განთავსებულია ინფორმაცია ალერგენების (თხილი, ნუში, რძის კვალის) შესაძლო არსებობის შესახებ. ამასთან, სურსათის დასახელება „გრანოლა“, როგორი დასახელებითაც სურსათი მიეწოდება საბოლოო მომხმარებელს, არ წარმოადგენს ოფიციალურ დასახელებას და საჭიროებს აღწერილობითი დასახელების მითითებას,

რომელიც აღწერს სურსათს და საკმარისად გარკვევით უნდა იქნეს წარმოდგენილი იმისათვის, რომ მისი გამოყენებისას, საბოლოო მომხმარებელმა შეძლოს სურსათის ნამდვილი ბუნების გაგება და განასხვაოს იგი სხვა მსგავსი სურსათისაგან. ასევე, მიზანშეწონილია ეტიკეტზე განთავსებული იყოს სურსათის გამოყენების ინსტრუქცია, რამეთუ, ინსტრუქციის გარეშე შესაძლოა ვერ მოხდეს მისი შესაბამისად გამოყენება.

შესწავლილი მაკარონის 4 ეტიკეტიდან, შეუსაბამობა გამოვლინდა 2 შემთხვევაში, კერძოდ, ორივე შემთხვევაში ეტიკეტზე არ იყო განთავსებული ინფორმაცია საქართველოში იმპორტიორი ბიზნესოპერატორის შესახებ.









შესწავლილი 1 (ერთი) მდოგვის ეტიკეტზე გამოვლინდა მხოლოდ ერთი შეუსაბამობა, კერძოდ: მასზე განთავსებულია მხოლოდ ერთი თარიღი (დამზადების თარიღი), უმჯობესია გამოყენებულ იქნეს... მდე ვადა არ არის მითითებული.

რეკომენდაციები

პროექტის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, რომელიც საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის N301 დადგენილებაში და მასთან დაკავშირებულ სხვა ნორმატიულ დოკუმენტებში გაწერილი მოთხოვნების შესაბამისად შეფასდა, და რომელიც ევროკავშირთან „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ (DCFTA) შეთანხმების ფარგლებში აღებულ ვალდებულების შესრულებას ითვალისწინებს, საჭიროა შემდეგი ქმედებები:

რეკომენდაციები ბიზნეს ოპერატორთათვის:

- ცნობიერების დონის ამაღლება;
- კვალიფიციური კადრების მოძიება, რომელიც უზრუნველყოფს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად სურსათის ეტიკეტის მომზადებას;
- კანონმდებლობის სისრულეში მოსაყვანად აქტიური კომუნიკაცია მაკონტროლებელ ორგანოსთან;
- კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების ჩატარება ეტიკეტირების წესის მოთხოვნების შესაბამისად;
- რეკომენდაციები სურსათის ეროვნული სააგენტოსთვის:
- მომხმარებელთა ცნობიერების დონის ამაღლება, რათა მათ შეძლონ თავიანთი უფლებების დაცვა;
- სურსათის ეროვნული სააგენტოს ჩართულობა და აქტიური კომუნიკაცია ბიზნეს სექტორთან;
- სარეალიზაციოდ განკუთვნილი სურსათის ეტიკეტების აქტიური კონტროლი და კანონმდებლობის სისრულეში მოყვანა;
- უზრუნველყოფილ იქნეს დასაქმებული ინსპექტორების კომპეტენციის ასამაღლებელი სწავლებები;
- სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ინსპექტორებისთვის შემუშავდეს მეთოდური მითითებები, სადაც გაწერილი იქნება ერთიანი მიდგომები კონტროლის განხორციელების დროს;

გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

DCFTA - შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (ევროკავშირსა და საქართველოს შორის).

ბიზნეს ოპერატორი - პირი, რომლის საქმიანობა უკავშირდება სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის, აგროქიმიკატის წარმოებას, პირველად წარმოებას, გადამუშავებას, დისტრიბუციას, აგრეთვე ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მომსახურებას და რომელიც პასუხისმგებელია თავისი საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობისთვის.

ეტიკეტი - სურსათთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, სავაჭრო ნიშანი, დასახელება, ილუსტრაცია ან სიმბოლო განთავსებული შეფუთვაზე, იარლიყზე ან სურსათს თანდართულ დოკუმენტზე.

ეტიკეტირება - ნებისმიერი სიტყვა, მონაცემი, სავაჭრო ნიშანი, სასაქონლო ნიშანი (ბრენდი), გრაფიკული გამოსახულება, აღწერილობითი გამოსახულება ან სიმბოლო, რომელიც დაკავშირებულია სურსათთან და განთავსებულია სურსათის ნებისმიერ შეფუთვაზე, ეტიკეტზე, ბეჭედზე ან საყელოზე ან მოცემულია თანდართულ დოკუმენტში;

ხედვის ძირითადი არეალი - შეფუთვის ზედაპირი, რომლის დანახვა სურსათის შეძენისას მომხმარებლის მიერ ერთი შეხედვით ყველაზე მეტად არის შესაძლებელი და, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს სწრაფად განსაზღვროს სურსათის მახასიათებლები და საჭიროების შემთხვევაში, სასაქონლო ნიშანი (ბრენდი). თუ შეფუთვას აქვს რამდენიმე მსგავსი ხედვის ძირითადი არეალი, ხედვის ძირითად არეალად მიჩნეული უნდა იქნეს ბიზნესოპერატორის მიერ შერჩეული ხედვის ძირითადი არეალი;

მაკონტროლებელი ორგანო - იურიდიული პირი, რომელსაც კომპეტენტური ორგანოს მიერ დელეგირებული აქვს სახელმწიფო კონტროლთან დაკავშირებული კონკრეტული ამოცანის შესრულება.

უფლებამოსილი პირი – სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი პირი, რომელსაც უფლებამოსილებას კომპეტენტური ორგანო ანიჭებს.

შეუსაბამობა – სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ბიზნესოპერატორის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შეუსაბამობა;

ინგრედიენტი - ნებისმიერი ნივთიერება ან პროდუქტი, მათ შორის არომატიზატორი, საკვებდანამატი, საკვები ფერმენტი და, ასევე, შედგენილი ინგრედიენტის ნებისმიერი შემადგენელი ნაწილი, რომელიც გამოიყენება სურსათის წარმოებისა და დამზადებისას და მზა სურსათში არსებობს საწყისი ან/და შეცვლილი ფორმით. ნარჩენები არ მიეკუთვნება ინგრედიენტს;

აღწერილობითი დასახელება - სურსათის სახელწოდება, რომელიც აღწერს სურსათს და საკმარისად გარკვევით უნდა იქნეს წარმოდგენილი იმისათვის, რომ მისი გამოყენებისას, საბოლოო მომხმარებელმა შეძლოს სურსათის ნამდვილი ბუნების გაგება და განასხვაოს იგი სხვა მსგავსი სურსათისაგან;

მცირე ბიზნესი – იმ ბიზნესოპერატორის საქმიანობა, რომელიც სარგებლობს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული მიკრო ბიზნესის, მცირე ბიზნესის ან ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსით;

ბაზარზე განთავსება – ბიზნესოპერატორის მიერ სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, მცენარის, ცხოველური პროდუქტის, მცენარეული პროდუქტის, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის ან/და აგროქიმიკატის რეალიზაციის მიზნით განთავსება, მათ შორის, გაყიდვის ან სხვა ფორმით გადაცემის შეთავაზება, სასყიდლით ან უსასყიდლოდ მიწოდება, რეალიზაცია, დისტრიბუცია და სხვა ფორმით მიწოდება.